დანართი 2

სდასუ
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

_____

_____ 20 _____ 2023



ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ორიენტირებულია არა მხოლოდ მაღალკვალიფიციური კადრების, არამედ ზნეობრივად სრულყოფილი, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული, დემოკრატიულ ღირებულებებთან ნაზიარები პიროვნებების აღზრდაზე. უნივერსიტეტი ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავებს ეთიკის კოდექსს, რომელიც საუნივერსიტეტო ღირებულებების, კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, განსაზღვრავს პერსონალისა და სტუდენტებისათვის ქცევის ნორმებს და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურებს.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზანი

1. ეთიკის კოდექსის მიზანია ჩამოაყალიბოს ქცევის ნორმები და პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა, დამხმარე, აკადემიურმა, მოწვეულმა, პერსონალმა და სტუდენტებმა.
2. შეიმუშაოს ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები

მუხლი 3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი

1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას;
2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ბ) იცავდეს ეთიკის კოდექსსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ სხვა მარეგულირებელ წესებს;

გ) იზრუნოს უნივერსიტეტის სახელსა და ავტორიტეტზე და არ დაუშვას მისი შელახვა;

დ) შექმნას სწავლისა/სწავლებისათვის ხელსაყრელი პირობები და გარემო;

ე) თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრას პატივისცემით და სამართლიანად;

ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. დაუშვებელია უნივერსიტეტის რესურსების პირადი მიზნებისთვის გამოყენება;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის დოკუმენტაციას, არ დაუშვას უნივერსიტეტის დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაციის გავრცელება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ქმედება ეფუძნება კანონიერ მიზანს;

თ) სრულად და კეთილსინდისიერად გამოიყენოს სამუშაო დრო.

3. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მხრიდან დაუშვებელია:

ა) სტუდენტისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის მიღება;

ბ) სტუდენტის დისკრიმინაცია ან გამორჩევა რაიმე (ეთნიკური, რელიგიური, ოჯახური მდგომარეობის და სხვ.) ნიშნით;

4. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მათ პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს სდასუ-ს რექტორის ბრძანებით შექმნილი ეთიკის კომისია.

მუხლი 4. ეთიკის კომისიის შექმნისა და მუშაობის წესი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში სდასუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება ეთიკის კომისია;

2. ეთიკის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ 3 წევრისგან;

3. ეთიკის კომისიის შემადგენლობის ფორმირება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალიდან. საჭიროების შემთხვევაში ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია მოწვეულ იქნას სპეციალური კომპეტენციის მქონე გარეშე პირ(ებ)ი;

4. ეთიკის კომისია ვალდებულია კონკრეტული დარღვევის ფარგლებში გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება, რომელიც მნიშვნელოვანია საქმისთვის;

5. პირს, რომლის მიმართაც დაწყებულია დისციპლინური წარმოება, უფლება აქვს კომისიის წინაშე წარადგინოს მტკიცებულებები და მოითხოვოს ეს მტკიცებულებები დაერთოს კომისიის დასკვნას;

6. კომისია უფლებამოსილია დისციპლინური წარმოების ფარგლებში გამოკითხოს უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამშრომელი ან სტუდენტი, თუ ეს აუცილებელია ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად;

7. საკითხის შესწავლის შემდეგ, პირის მიერ ეთიკის ნორმის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, კომისია სდასუ-ს შინაგანაწესით დადგენილი ნორმების ფარგლებში რექტორს წარუდგენს შესაბამის დასკვნას დამრღვევი პირის მიმართ შემდეგი დისციპლინური სახდელებიდან ერთ-ერთის გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) იერარქიულად დაბალ პოზიციაზე გადაყვანა;

დ)ხელფასის დაქვითვა არაუმეტეს შრომის კოდექსითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით;

ე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

8. თუ კომისია მივა იმ დასკვნამდე რომ პირის მიერ ადგილი არ ჰქონდა ეთიკის ნორმის დარღვევას, იგი რექტორს წარუდგენს დასკვნას პირის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ.

მუხლი 5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ვალდებულებები

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას ეთიკის კოდექსი, უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

ბ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გ) შექმნას აკადემიური გარემო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოყალიბებისთვის;

დ) მუდმივად იზრუნოს აკადემიური დონის ამაღლებაზე. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევებსა და სხვა აქტივობებში. უზრუნველყოს სასწავლო კურსის სილაბუსის თემატიკის განახლება შესაბამისი სფეროს სიახლეების გათვალისწინებით;

ე) მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური და მოწველი პერსონალი ზემოთჩამოთვლილის გარდა, ვალდებულია:

ე.ა) კლინიკაში სასწავლო პროცესის ჩატარებისას, იხელმძღვანელოს კლინიკაში მოქმედი ეთიკური ნორმებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

ე.ბ) როდესაც პაციენტს სთხოვენ ჩაერთოს სტუდენტების ტრენინგში, მას წინასწარ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მას საერთო მკურნალობის პროცესის მიღმა, რომ სწავლების პროცესში მონაწილეობაზე უარი გავლენას არ მოახდენს მის შემდგომ მკურნალობასა და ზრუნვაზე.

ვ) უზრუნველყოს ლექციების მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარება, დროული დაწყება და დამთავრება და არ დაუშვას არასაპატიო მიზეზით ლექციის გაცდენა;

თ) უზრუნველყოს დადგენილი წესის შესაბამისად, შუალედური და დასკვნითი გამოცდების სამართლიანად და ობიექტურად შეფასება;

ზ) სტუდენტს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ცოდნის შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ; მისცეს დეტალური განმარტება მიღებული შეფასების თაობაზე; გაუწიოს დახმარება მიღწეული შედეგების გაუმჯობესებაში; ჩაუტაროს კონსულტაციები;

თ) მუდმივად იზრუნოს სწავლების მეთოდების განახლებასა და დახვეწაზე;

ლ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და მოახდინოს მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ.

2. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგებთან, სტუდენტებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს მაღალაკადემიურ და ეთიკურ ნორმებს, პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას;

3. დაუშვებელია სტუდენტის დისკრიმინაცია ან გამორჩევა რაიმე (ეთნიკური, რელიგიური, ოჯახური მდგომარეობის და სხვა) ნიშნით;

4. დაუშვებელია სტუდენტთა გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით ან კოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად;

5. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა პატივი უნდა სცეს კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მისი საქმიანობა და ნაშრომები;
6. კოლეგებთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემასა და სამართლიანობას;
7. კოლეგის საქმიანობის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, კრიტიკა კორექტური, დაუშვებელია კოლეგების შეურაცხმყოფელი კრიტიკა;
8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან დაუშვებელია:
ა) უნივერსიტეტის რესურსების პირადი მიზნებისთვის გამოყენება;
ბ) სტუდენტისგან ან სხვა დაინტერესებული პირისგან საჩუქრის მიღება;
გ) სტუდენტის პირადი ინფორმაციის, ასევე მისი შეხედულებების, რწმენის და პოლიტიკური მრწამსის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება. გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.
9. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია დროულად აცნობოს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის დეკანს აღნიშნულის თაობაზე.
10. ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის ან შრომითი ურთიერთიერთობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის საბჭო.
11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სკოლის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, იგი დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 6. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ვალდებულია:
ა) სტუდენტი ვალდებულია სდასუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი/კომპონენტი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;
ბ) დაიცვას უნივერსიტეტის დებულებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, სასწავლო პროცესის რეგულირების წესით და სხვა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესები;
გ) კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდოს სწავლის პროცესს, მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას;

დ)პატივი სცეს უნივერსიტეტის სახელსა და ავტორიტეტს. დაიცვას უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

ე) პატივი სცეს უნივერსიტეტის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.

ვ) მედიცინის სპეციალობის სტუდენტის კლინიკური პრაქტიკა გარდა ზემოჩამოთვლილისა, ვალდებულია:

ვ.ა)პატივი სცეს პაციენტის სიცოცხლეს და ღირსებას.

ვ.ბ) იმოქმედეთ პაციენტზე ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ვ.გ) ექიმი-პაციენტის ურთიერთობა განიხილოს როგორც სასწავლო პროცესის ნაწილი, პაციენტი კი როგორც თავისუფალი ადამიანი, რომელიც იტანჯება ავადმყოფობისგან;

ვ.დ) პატივი სცეს პაციენტს და მხარი დაუჭიროს მის ავტონომიას.

ვ.ე) პატივი სცეს პაციენტის კონფიდენციალურობას და ფუძემდებლურ პრინციპებს სტუდენტ-პაციენტის ურთიერთობაში;

ვ.ვ) პატივი სცეს და დაიცვას ჯანდაცვის დაწესებულებების ეთიკის კოდექსი და შინაგანაწესი სასწავლო პრაქტიკის დროს.

ვ.ზ) პატივი სცეს ადამიანის გვამს და გვამურ ნაწილებს, როგორც ყოფილი ადამიანის სხეულის ნაწილებს.

2. სტუდენტის მიერ არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

ა) სხვა პირის დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით განსხვავებულობის გამო;

ბ) სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა;

გ) უნივერსიტეტში არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;

დ) აკრძალულ ადგილებში თამბაქოს მოწევა.

ე) უნივერსიტეტის შენობაში/ ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება;

ვ) უნივერსიტეტის შენობის და ტერიტორიის დაბინძურება;

ზ) სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის და სხვა პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, ძალის გამოყენების მუქარა, ძალადობა. ბილწსიტყვაობა, რომელიც განხორციელებულია უმისამართოდ, მაგრამ პერსონალისა და სტუდენტების გასაგონად;

თ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი საშუალების, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის შეტანა, დემონსტრირება, გამოყენება;

ი) ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სხვა პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;

კ) ნარკოტიკული, ტოქსიკური საშუალებების უნივერსიტეტის შენობასა და ტერიტორიაზე შემოტანა, გავრცელება და მოხმარება;

ლ) უნივერსიტეტის შენობაში და ტერიტორიაზე ქურდობა, ძალის გამოყენება;

მ) უნივერსიტეტის შენობაში/ტერიტორიზე აზარტული თამაშები;
ნ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაზიანება, განადგურება, არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება;
ო) შუალედური/დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესების დარღვევა;
პ) აკადემიურ/ადმინისტრაციულ და მოწვეული პერსონალზე ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზეწოლის განხორციელება შეფასების მიღების მიზნით;
ჟ) საჩუქრის/ფულის ან რაიმე მოქმედების შესრულების შეთავაზება გამომცდელისთვის შეფასების მიღების მიზნით;
რ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება/ჩაბარების მცდელობა ან სხვა სტუდენტისაგან მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა;
ს) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის/ მასალის მოპოვება და და მისი გავრცელება;
ტ) პლაგიატი - შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირის ნამუშევრის გამოყენება ან სხვისი ნაშრომის მითვისება;
უ) ნამუშევრების ან სხვა სახის დოკუმენტაციის გაყალბება, შეცვლა, განადგურება;
ფ) საბიბლიოთეკო რესურსის ბიბლიოთეკიდან თვითნებურად გატანა;
ქ) ბიბლიოთეკის რესურსისა და ინვენტარის დაზიანება;
ღ) ამ კოდექსით გათვალისწინებული და სტუდენტისათვის შეუფერებელ საქმიანობაში თანამონაწილეობა ან/და ამგვარი საქციელის გაუმჟღავნებლობა.
ყ) მედიცინის სპეციალობის სტუდენტების შეზღუდვები
ყ.ა) სტუდენტებმა უნდა შეასრულონ მხოლოდ ის კლინიკური მანიპულაციები, რომლებიც იცის და რომლის შესრულების უფლებასაც აძლევს კანონმდებლობა;
ყ.ბ) თუ პაციენტი და/ან ოჯახი ითხოვს რჩევას, რომელიც სცილდება სტუდენტის კომპეტენციას, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს მენტორ ექიმს ან ჯანდაცვის დაწესებულების სხვა პროფესიონალ სპეციალიტს, რომელსაც კანონმდებლობისა და კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია მოქმედება;
ყ.გ) სტუდენტს არ შეუძლია გასცეს რეცეპტი ან სამედიცინო ცნობა.
ყ.დ) სტუდენტს არ აქვს უფლება გასცეს ის ინფორმაცია, რომელიც მას მიეწოდა პაციენტის შესახებ კლინიკური სწავლების დროს პაციენტის/მისი მომვლელის ან ოჯახის წევრის მიერ.

3. ეთიკის წესების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის საბჭო.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ სკოლის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ, იგი დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება, დისციპლინური ღონისძიებები

1. საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესების და ეთიკის კოდექსის დარღვევა იწვევს სტუდენტის მიმართ დისციპლინური გადაცდომის/დარღვევის პროპორციულ დისციპლინურ წარმოებას.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს შესაბამისი სკოლის საბჭო. უნივერსიტეტი უფლებამოსილის განახორციელოს სხვადასხვა სანქციები (მათ შორის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა) სტუდენტის მიმართ, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

4. დისციპლინურ გადაცდომად შესაძლოა ჩაითვალოს – ერთჯერადად ჩადენილი:

ა) სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობა/ჩაშლა;

ბ) აკრძალულ ადგილებში თამბაქოს მოწევა;

გ) უნივერსიტეტის შენობაში/ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების მოხმარება;

დ) უნივერსიტეტის შენობის და ტერიტორიის დაბინძურება;

ე) უნივერსიტეტის შენობაში / ტერიტორიზე აზარტული თამაშები;

ვ) შუალედური/დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესების დარღვევა;

ზ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება/ჩაბარების მცდელობა ან სხვა სტუდენტისაგან მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა;

თ) სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის და სხვა პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა, ცილისწამება, ძალის გამოყენების მუქარა;

ი) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაზიანება, არადანიშნულებისამებრ თვითნებურად გამოყენება.

5. დისციპლინურ გადაცდომის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი სახის სანქციები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) გაფრთხილება;

დ) ფულადი ჯარიმა მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით;

ე) სხვა სახის სანქცია, რაც არ არის დაკავშირებული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან.

6. დისციპლინურ დარღვევად მიიჩნევა:

ა) უნივერსიტეტის მარეგულირებელი წესების და ეთიკის კოდექსის არაერთჯერადი დარღვევა;

ბ) სხვა პირის დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით განსხვავებულობის გამო;

გ) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განზრახ დაზიანება, ან განადგურება;
დ) დოკუმენტაციის გაყალბება, შეცვლა, განადგურება;
ე) უნივერსიტეტის შენობაში/ტერიტორიაზე ალკოჰოლური სასმელების გავრცელება;
ვ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ასაფეთქებელი საშუალების, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის შეტანა, დემონსტრირება, გამოყენება;
ზ) ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სხვა პირთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას;
თ) ნარკოტიკული, ტოქსიკური საშუალებების შემოტანა, გავრცელება და მოხმარება;
ი) უნივერსიტეტის შენობაში და ტერიტორიაზე ქურდობა, ძალის გამოყენება.

7. დისციპლინურ დარღვევის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი სახის სანქციები:
ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
ბ) საჭიროების შემთხვევაში ჩადენილი კანონდარღვევის შესახებ ეცნობება სამართალდამცავ ორგანოებს.

8. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
გ) მიაწოდოს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
დ) მონაწილეობა მიიღოს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

9. ინფორმაცია სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სტუდენტის ნებართვა, ან ადმინისტრაციის კანონიერი ინტერესი დაიცვას სხვისი უსაფრთხოება და კანონით დაცული უფლებები.

10. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმებით მოპოვებულ მტკიცებულებებს. საბჭო ვალდებულია გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველს წარმოადგენს.

11. სტუდენტს უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლოში მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცების რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
2. დამტკიცებულ კოდექსში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება/დამატება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.